საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 313 2021 წლის 5 მარტი ქ. თბილისი

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე

1. 2020 წელს ონის მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო-აღდგენითი და მათთან დაკავშირებული საპროექტო-საზედამხედველო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ონის მუნიციპალიტეტს გამოუყოს არა უმეტეს 5 962 196 (ხუთი მილიონ ცხრაას სამოცდაორი ათას ას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარისა.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ამ განკარგულების საფუძველზე თანხების გადარიცხვა განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**